პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კვირა, 21 სექტემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი მეომარი

№604 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელს. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც· ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

ვიყვეთ, როგორც „26“.

1918 წელი 20 სექტემბერი სამარადისოთ დარჩება ამიერკავკასიის პროლეტარიატის გულში.

ამ დღეს კასპიის მხარეში ვერაგულად დახვრიტეს, აწამეს და სტანჯეს 26 კომუნარი.

მათ შორის იყვნენ ამიერკავკასიის მუშათა შორის კარგად ცნობილნი ამხანაგები ალიოშა ჯაფარიძე, შაუმიანი სტეფანე, აზიზბეგოვი და სხვანი.

20 ოქტომბრის შავბნელით მოცული დღე მით უფრო წაუშლელია ჩვენს გულში, რომ იგი მოხდა ჩვენსა და კონტრრევოლიუციას შორის მწვავე ხელჩართულ ბრძოლის დროს.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ კომუნისტების გამოჩენამ თავზარი დასცა არა მარტო გენერლობა-ოფიცრობას, არამედ ყველა ჯურის შემთანხმებელ სოციალისტებს.

მდიდრებს და მემამულეებს ვეჯავრებოდით ჩვენ; მათ იცოდენ რომ კომუნისტური პარტია დაიცავს მუშებს და ღარიბეს გლეხებს; ჩამოართმევს მიწებს მემამულეებს და გადასცემს გლეხებს;] ფაბრიკა-ქარხნები დაურიგდებათ მუშებს; ჩინი და ორდენები მოესპობათ ოფიცრებს.

ამიტომ ბატონობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო კომუნისტურ პარტიასთან შეუბრალებელი ბრძოლა.

მენშევიკები, დაშნაკელები, მუსავატისტები და სხვა მათი ამყოლ დამყოლნი რევოლიუციონური ქარცეცხლით შეშინებულნი ჩვენს წინაამდეგ დაირაზმენ. მათ ამჯობინეს მეგობრობა რუსეთის მეფის ყოფილ გენერლებთან და საზღვარ გარეთის შავბნელ ძალებთან.

ამიერკავკასიის გამყიდველ სოციალისტების თანხმობით და შემწეობით მთელ კავკასიას შემოესია ჯერ გერმანიის ჯარი და მერე ინგლისის.

ადგილობრივ მთავრობებს ამ უცხო ჯარის შემოსვლაზე არაფერი არ უთქვამთ. პირიქით ისინი მოხარულნი იყვენ კოროლების გენერლების შემოსევით; უმართავდენ მათ ვახშამ-სადილებს; უცხადებდენ ერთგულობას და პირდებოდენ საერთო მტრის, ბოლშევიზმის, წინაამდეგ თავდადებულ ბრძოლას.

ეს ასეც შეუსრულეს მათ.

სხვა მრავალ ვერაგობასთან ერთად მენშევიკ-დაშნაკ-ესერებმა ჩაიდინეს ის უდიდესი საზიზღარი საქმეც, როგორიც არის 26 კომისრის მოკვლა. ინგლისელ გენერლების ბრძანებით და მეოხებით სოციალიზმის მოღალატე მენშევიკ-ესერებმა წაართვეს მუშათა კლასს 26 თავდადებული მებრძოლი.

თავისთავად ცხადია ეს დიდი დანაკლისია; მათ ვერასოდეს ვერ ვიხილავთ ჩვენ; ეს გვაწუხებს და გვაღონებს.

მაგრამ ამით ბოროტი მტერი ვერაფერს გახდა და ვერაფერს გახდება.

მართალია ჩვენ აღარ გვყავს ჩვენი თავდადებული ამხანაგები, მაგრამ მათ მაგივრად გვყავს მათი ხელით აშენებული უძლეველი და უდრეკელი კომუნისტური პარტია.

ამ პარტიის თავდადებული და განწირული ბრძოლით მუშათა კლასის წითელი დროშა ძველებურად ფრიალებს ჰაერში და არც ერთი წინწკალი მას შავი არ აცხია.

ყოველ წლის 20 სექტემბერს იგონებს ამ ამხანაგებს მუშათა კლასი. ყოველი წლის 20 სექტემბერი მოაგონებს თვითეულ კომუნისტს და მით უფრო ახალგაზრდობას: ვიყვნეთ, ვით 26.

დიახ! ჩვენ ყველანი უნდა ვიყვნეთ, ვით 26. მათი სახეები წარუშლელია ჩვენს მეხსიერებაში.

ჩვენ მზათა ვართ მათებრ თავდადებით შევეწიროთ საერთაშორისო მუშათა კლას.

შეიძლება თვითეული ჩვენთაგანი არ იყოს ალიოშა, არ იყოს შაუმიანი, მაგრამ ჩვენი მცირე ჯანღონეც მზათა გვაქვს რევოლიუციონურ სამსხვერპლოს შევსწიროთ.

ყოველი გამარჯვება კი თავგანწირულებაში, თავდადებაში და გულადობაშია.

ეს თავდადება ესაჭიროება მუშათა კლასს.

ეს თავდადება უნდა გამოიმუშაოს თვითეულმა ჩვენთაგანმა და მაშინ ვიქნებით ისეთნი, როგორიც 26 კომუნარი იყო.

დიდება მათ ხსენებას.



ამხ. სტ. შაუმიანი

ინგლისის იმპერიალისტური ჯარის სარდლობის ბრძანებით 1918 წელს ვერაგულათ დახვრეტილი ქ. ბაქოში 26 კომუნართან ერთად.



ამხ. პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე.

ინგლისელების მიერ ვერაგულად დახვრეტილი 26 კომუნარებთან ერთად.

ამხ. კამენევის მოხსენება საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ლენინელ ახ. კომკავშირის ცეკას პლენუმის გახსნა.

20 სექტემბერს გაიხსნა ლენინელ ახ. კომკავშირის ცეკას პლენუმი. მდივანის ამხ. ცეიტლინის მოხსენების შემდეგ ამხ. კამენევმა გააკეთა ვრცელი მოხსენება საბჭოთა კავშირის საგარეო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.

ამხ. კამენევის მოხსენება.

ამხ. კამენევი შეეხო ინგლის საბჭოთა ხელშეკრულებას და განაცხადა.

— ჩვენ ვიხდით სესხს, თანახმა ვართ გადავიხადოთ დიდი პროცენტები, რათა ამ პროცენტებიდან ანაზღაუროდ ვალი ინგლისის კრედიტორებს.

კაპიტალისტები გვეუბნებიან: ჯერ გადაიხადეთ, ხოლო შემდეგ კი მოვილაპარაკოდ სესხზეო.

ჩვენ თუ სესხს არ მივიღებთ, ამით არ დავიღუპებით, მაგრამ მრეწველობის განვითარება ნელის ნაბიჯით წავა. ჯერ კიდევ კანნას კონფერენციაზე ამბობდა ლენინი, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ თანასწორ ეკონომიურ უფლების მიღებასო; ეს თანასწორ-უფლებიანობა დაცულია ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებაში.

ხელშეკრულების წინაამდეგ დღეს სასტიკი კომპანია მიდის. დიპლომატია ყალყზე დადგა და სცდილობს დაამტკიცოს რომ საბჭოთა კავშირის გარშემო ხდება აჯანყებაო. ყოველივე ეს ხდება იმ მიზნით, რათა ხელი შეუშალონ ხელშეკრულების მოწერას. ავღანისტანის აჯანყება, სპარსეთში და ოსმალეთში სხვა და სხვა ტომთა შორის მღელვარება, ინტერვენცია ჩინეთში ყოველივე ამას მასალად იყენებს ჩვენი მტრები ჩვენს წინაამდეგ.

ქართველ მენშევიკების ავანტიურას მიზნად ქონდა გამოეწვია ხმაურობა და განგაში.

საჭირო იყო დაემტკიცებიათ, რომ საბჭოთა კავშირში არ არის მშვიდობიანობაო და ამით ძირს დაეცათ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა.

ამხ. კამენევი შეეხო მომავალ მოლაპარაკებას საფრანგეთთან და განაცხადა, რომ არავითარ მოლაპარაკებას ჩვენ არ ვაწარმოებთ საფრანგეთთან, სანამ ის ჩვენ არ გვიცნობს.

მოლაპარაკება იაპონიასთან სასურველად მთავრდება.

მართალია მას დღემდის უკავია ჩრდილოეთ სახალინი, მაგრამ ბოლოს ის დათმობას უნდა დაადგეს.

შემდეგ ამხ. კამენევი შეეხო ცენტრალურ ევროპის მდგომარეობას და განაცხადა: დოუესის გეგმა წმინდა ამერიკული მეთოდია გერმანიის კოლონიად გადასაქცევად.

მომხსენებელი შეეხო საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას. მან აღნიშნა, რომ ცენტრალური საკითხი საშინაო პოლიტიკაში ეს არის დამოკიდებულება გლეხობასთან და მრეწველობის საკითხი.

მიღებულია ზომები, რათა მომავალ წელს მოსავალი გაცილებით მეტი დარჩეს. დიდი დახმარება ეძლევა აგრეთვე მოუსავლიან ადგილებს.

გასულ წელს საჭირო იყო მაკრატელის ჩაკეტვა. დღეს კი ამის წინააღმდეგი მდგომარეობაა. ფასები ერთი ორად ავარდა. პურის ფასის გადიდება იწვევს სხვა საქონლის გაძვირებას, ყოველივე ეს—ხელფასისა და სახელმწიფო ხარჯების ზრდას,

აი როგორ სტყუის ეს ხალხი და რისთვის უნდოდათ ესამბავი.

„ვარშავიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბათუმი დაკავებულია ქართველ კონტრრევოლიუციონერების მიერ.

ცნობილმა „რუსის ცხენოსან ჯარის ღენერალმა“—ბუდიონიმ მიიღო ბრძანება გაემგზავროს კავკასიაში, რათა მიიღოს უზენაესი სარდლობა საბჭოთა ჯარებზე საქართველოს აჯანყების ჩასაქრობად“.

აი ამაზე იტყვიან: „რა უთქვამს რა მოუჩმახავს.“ ო. ზემო მოყვანილი ცნობა ამოღებულია გერმანიის რადიო ცნობიდან. როგორც თვით ტელეგრამის შინაარსიდან სჩანს, იგი შეეხება ჩვენში სულ ეხლახან მენშევიკებ-ნაციონალ-დემოკრატების მიერ მოწყობილ ვერაგობას.

ჩვენ ამ ვერაგობის შესახებ ბევრი ვსწერეთ. ავღნიშნეთ სხვათა შორის ისიც, რომ ამ ვერაგობაში დასავლეთ ევროპის „სოციალისტებს“ არ აქვთ ხელი წმინდა. ეს ასეც არის.

მთელი რიგი ცნობათა საქართველოში „აჯანყების“ შესახებ გაცილებით ადრე იქნა გამოქვეყნებული, ვინემ მენშევიკების მიერ მოსყიდულნი ჯალათნი გაბედავდენ „გამოსვლების“ დაწყებას.

გარდა ამისა საზღვარ-გარეთ გადახვეწილი ბურჟუაზია აქვეყნებს და ავრცელებს ისეთ ცნობებს, რის მგზავსი არსად არაფერი ყოფილა.

მართალია ჩვენში იქა-აქ გამოვიდენ ყაჩაღები და მშვიდობიან მცხოვრებთ თავს დაესხენ, მაგრამ არავითარი ბათუმი აღებული არ ყოფილა.

ყოველ შემთხვევაში ჩვენში ერთი ბათუმია და იქ სრული სიწყნარე სუფევდა. სწორეთ იმ ბათუმში ცხოვრებდა მენშევიკების ცეკას წევრი **გიზო ანჯაფარიძე**, რომელიც ყოველივეზე და ყველაფერზე გულ გაცრუებული და იმედ დაკარგული საკუთარი ნებით გამოცხადდა საგანგებო კომისიაში.

მენშევიკებმა და დანარჩენმა ოხრებმა თითონაც კარგად იცოდენ, რომ ჩვენში გამოსვლებს ვერ მოაწყობდენ.

ვერ მოაწყობდენ იმიტომ, რომ მშრომელი ხალხი მკერდით იცავს მუშურ-გლეხურ თავისუფლებას. იცოდენ ეს მენშევიკებმა კარგად, მაგრამ ვერაგობა მაინც მოაწყვეს. ეს ჩაიდინეს მათ არა ქართველი ხალხის განთავისუფლების მიზნით, არამედ დაკარგულ ადგილების დაბრუნების სურვილით.

მათ ძალა-უფლება აინტერესებთ და ხალხის ინტერესები კი ჩალის ფასად უღირსთ.

მათ დღემდე ვერ შეიგნეს, რომ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია არამც თუ ქართველებს, არც ერთ ერს არას დაეძებს. ვერ შეიგნეს ეს და ძველებურად განაგრძობენ ლაქიაობას და ფეხების ლოკვას.

სხვა ხელობა მაინც ცოდვა არის მათ ქონდეთ.

მუდამ წაჯეკ-უკუჯექიაობაში შეჩვეულ მენშევიზმს სხვის ხელებისა და ფეხების მთხვევაში ამოხდება სული.

მათი გზაც აქეთ არის..

ვერავითარი ჭორი, ვერავითარი სიცრუე მათ ვერ იხსნის.

საქართველოს მშრომელებმა კარგად იციან, რომ არავითარი ღენერალ ბუდიონი არ წვევია საქართველოს.

„ტყუილს მოკლე ფეხი აბია“-ო იტყვიან.

ეს ზედ გამოჭრილი არის მენშევიკების ჭორი გუდიაობაზე.

ნემსი.

ამას უნდა ვებრძოლოთ თვით გლეხობის ინტერესების სასარგებლოდ.

ჩვენ უნდა გავბატონდეთ ბაზარზე, რათა დავაგროვოთ სახელმწიფოს ხელში 400 მილიონი ფუთი პური. ჩვენ უნდა გვქონდეს საშუალება რომ გლეხმა, მიუხედავად მოთხოვნილებისა, არ ასწიოს ფასი პურზე ასეთი საშუალებაა გადასახადის დადება.

რაც შეეხება მრეწველობას, ის, მიუხედავად მოუსავლიანობისა, ძლიერდება.

მორიგი ამოცანაა საქონელზე ფასების დაწევა, შუამავალთა თავიდან აშორება და კოოპერაციის გამტკიცება.

მძიმედ მიდის სამეტალურგიო საქმე.

თუ ჩვენ მივიღეთ სესხი, მას ჩვენ მოვახმართ მეტალურგიასა და სასოფლო მეურნეობას.

ჩვენს პურის ფასების პოლიტიკაში წინააღმდეგობას გვიწევს სოფლის „კულაკები“, მაგრამ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ უნდა დაგვეხმაროს კომკავშირელებმა, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ სოფლად.

მე 13-ე ყრილობის შემდეგ პარტია უფრო გაძლიერდა, უფრო განმტკიცდა მისი დისციპლინა.

მეორე ფაქტორი გამარჯვებისა ეს არის ლენინელთა გაწვევა, რომლის საშუალებით ჩვენ გვიჭირავს კავშირი უპარტიო მუშათა მასებთან.

ეჭვი არ არის ჩვენს საბოლოო გამარჯვებაში.

რადიო-დეპეშები.

სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

საბჭოთა მთავრობამ შეისყიდა დასავლეთ კანადაში 1000 ცხენი და 100 ათასი სული რქოსანი საქონელი. ამათგან ნაწილი უკვე გამოიგზავნა რუსეთში.

ჰამბურგში მივიდა პირველი ორი გემი ნავთით და გაზოლინით დატვირთული. ეს ნავთი ეკუთვნის გერმანიის სინდიკატს, რომელმაც ორი კვირის უკან ხელშეკრულება დასდო საბჭოთა მთავრობასთან.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

პროვინცია ჩე-კიანგის არმია დაიქსაქსა.

ამის გამო სამოქალაქო ომის გამოსავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სახეს მიიღებს შემთხვევები ჩრდილოეთ ჩინეთში, სადაც ჩჟან-ცზო-ლინის არმია უნდა შეეტაკოს მთავრობის ჯარებს უ-პეი-ფუს მეთაურობით. ამ არმიების ბრძოლის შედეგზე დამოკიდებულია პეკინის ბედი.

საერთაშორისო ჯარები.

საერთაშორისო ჯარები გადავიდა ჩეილის პროვინციაზე და იმყოფებიან პეკინიდან 200 მილის მანძილზე. უ-პეი-ფუმ ძლიერი რაზმი გაგზავნა პეკინის დასაცავად.

შანხაის კორესპონდენტის ცნობით სასტიკი ბრძოლები სწარმოებს ლიუხოს ახლოს, არტილერიის კანონადა ისმოდა შანხაიში:

შანხაიდან მიღებულ ცნობით გრძელდება უცხოეთის მოხალისეთა მობილიზაცია.

პეკინის მთავრობამ ფორმალურად ომი გამოუცხადა ჩჟან-დზო-ლინს.

ავსტრია და მცირე ანტანტა.

ვენის პრესის ცნობის თანახმად ავსტრია ჩქარა შეუერთდება მცირე ანტანტას. გაზეთები აღნიშნავენ ავსტრიის ეკონომიურ დაახლოების საჭიროებას სლავიანთა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ჩეხოსლოვაკიასთან.

სენატორ ლაფოლეტის განცხადება.

თავის პირველ საარჩევნებო სიტყვაში სენატორ ლაფოლეტმა კატეგორიულად დაუჭირა მხარი ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვას.

გერმანია.

გერმანია და ერთა ლიგა.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ნანსენმა განაცხადა ერთა ლიგა ელოდება გერმანიის შესვლას ლიგაში.

სოციალ-დემოკრატების. გაზეთი „ფორვერტსი“ აღნიშნავს მთავრობის წრეების აზრს, რომ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შესვლა ერთმანეთზე არის დაკავშირებულიო.

გაზეთი ჰგმობს ასეთ მოლოდებითი პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ ამ ჟამად გერმანიისთვის უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი ლოზუნგი:

ერთა ლიგაში შესვლა.

ახალი დაპატიმრებანი.

ვიურტემბერგის მთავრობის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა კომუნისტური გაზეთის „არბეიტერ ციტუნგ“ის მთელი შემადგენლობა მათ რიცხვში კომუნისტური დეპუტატი კელერი.

კომ. გაზეთ „როტე-ფანეს“ ცნობით, მიუხედავად პარლამენტარულ შეუვალობისა, დააპატიმრეს აგრეთვე რეიხსტაგის დეპუტატი მიულერი

მოლაპარაკება ინგლის-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

ამ დღეებში ბერლინში დაიწყება მოლაპარაკება ინგლის-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

ამისათვის ბრიტანეთის ექსპერტები ამ დღეებშივე გაემგზავრებიან ბერლინში.

სრულიად კავშირის პროფკავშირთა ყრილობა.

სრულიად კავშირის ცენტრალურმა პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა მოიწვიოს პროფკავშირთა ყრილობა 1-ლ ნოემბერს.

იაპონიის იმპერიალისტების ხრიკები.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება: საბჭოთა-იაპონიის მოლაპარაკება კვლავ მიადგა ჩიხს და შეიძლება კიდეც ჩაიშალოს, თუ ამ დღეებში კარახანი არ მიიღებს იაპონიის მოთხოვნილებათა მცირე ნაწილსო.

ზოგიერთი წრეები ფიქრობენ, რომ ეს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური მანევრებიაო.

გაზეთი „ოსახი“ აღნიშნავს, რომ ამ ჟამად დადებულ უნდა იქნას ძირითადი შეთანხმება, წვრილმანები კი შეიძლება გარჩეულ იქნას სხვა განსაზღვრულ დროშიო.

თუ დღევანდელი მთავრობა დამარცხდება საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებაში, ის უნდა გადადგეს იაპონიის ერის სასარგებლოდო.

ბრძოლა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებისათვის.

თემთა პალატის ლიბერალთა ყოფილმა ბელადმა გრეიამ ედინბურგში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა:

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება დიდი ლაქია დღევანდელი მთავრობის პოლიტიკაში. შეთანხმება არ არის ნამდვილი, ვინაიდან ის მხოლოდ შესავალია შემდეგ შეთანხმებათა დადებისათვის.

გრეის აზრით თემთა პალატამ უარი უნდა უთხრას საბჭოთა კავშირს სესხზე.

„დეილი ნიუზი“ და „ვესტმინსტერ გაზეტი“ ბეჭდავენ ლიბერალების წერილებს, რომლებიც მოითხოვენ ხელშეკრულების დამტკიცებას.

„ვესტმინსტერ გაზეტ“-ში მოთავსებულია ყოფილ მინისტრის ალფრედ მონდის წერილი:

„საბჭოთა დაპირებებს არ შეიძლება დაენდო. ხელშეკრულებაში არ არის ნათქვამი, რომ სესხი დაიხარჯება დაკვეთეებზე ინგლისშივე.

ლიბერალ სპენსერის აზრით მომავალი არჩევნების საბრძოლო ლოზუნგი იქნება საკითხი „წითელი საფრთხის“ შესახებ. კონსერვატორების გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ ისინი უხელმძღვანელებენ საბჭოთა საწინააღმდეგო მოძრაობას.

პანების პოლონეთში.

პოლონეთ-ჩინეთის ურთიერთობა.

პეკინში მოხდება ამ დღეებში მოლაპარაკება პოლონეთ-ჩინეთის ურთიერთობის მოგვარების შესახებ.

პოლონეთის წარმომადგენელი ჩინეთში არ სარგებლობდა დღემდის დიპლომატიური უფლებებით.

ვერ მოუგვარებიათ.

სეიმის ფრაქცია „ვიზვოლენიე“-მ მიიღო პროტესტის რეზოლიუცია აღმოსავლეთ განაპირების ჯარების უფროსად პოლონეთის სარდლების დანიშვნის წინააღმდეგ.

„ეს გამოიწვევს წინააღმდეგობას ადგილობრივ მკვიდრთა და პოლონეთის ძალის-უფლთა შორისო“.

ფრაქციამ შეადგინა კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშავოს კანონპროექტი ურთიერთობის მოსაგვარებლად განაპირა ადგილებში.

პოლონეთის კომუნისტურ პარტიის მოწოდება.

ბუნდი და პეპეესი ღალატობენ მუშებს.

პოლონეთის კომპარტიამ და პროფკავშირთა წითელმა ფრაქციამ გამოუშვა მოწოდება, რომ ბუნდი ხელს უწყობს პოლონეთის სოციალისტების გამცემლურ მუშაობას, რომლის წყალობითაც პოლიცია ჰხურავს მუშათა ორგანიზაციებსო.

ნავთის რაიონის მუშათა გაფიცვები.

გრძელდება მუშათა გაფიცვები ბრესლავლის ნავთის რაიონებში.

მრეწველები იძულებული გახდენ დათმობაზე წასულიყვნენ და დასთანხმდენ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე.

„პეპეესი დაუძლურებულია“.

პოლონეთის სოც. პარტიის გამოჩენილმა წევრმა რჟევსკიმ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც სასტიკად ილაშქრებს პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ.

„იძულებული ვართ, აღვნიშნოთ, რომ პ. სოც. პარტია დაავადებულია.

მიტინგებზე პოლონეთის სოციალისტები გამოდიან რევოლიუციონურად ხელების ქნევით, ხოლო თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ის კარგავს თავის გავლენას თავის ქვეყანაში და ჩარჩს სცხებს სოციალისტურ იდეოლოგიას.

რჟევსკი წევრად ითვლებოდა ხსენებულ პარტიაში 20 წელზე მეტი.

დღეს ის გამოვიდა ამ პარტიიდან და შევიდა დამოუკიდებელ სოციალისტების პარტიაში.

რადიო ყოველ მხრიდან

ინგლისის სახელმწიფო და მუნიციპალურ სამრეწველოთა მუშების კონფერენცია.

ლონდონში მოხდა ხსენებულ მუშათა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 60.000 მუშა.

კონფერენციამ გამოიმუშავა შემდეგი მოთხოვნილებანი: შრომის ხელფასის მინიმუმის დადგენა 3 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით კვირაში, 44 საათიანი სამუშაო კვირა, დამატებითი შვებულება ერთი კვირით, ჯამაგირის შენახვით.

იმპერიალისტ--ფაშისტების დამარცხება მაროკოში.

ტეტუანის დასავლეთ ზონაში დაიწყო უკვე საომარი ოპერაციები. ოპერაციების მიზანია პოზიციების განთავისუფლება, რომელიც გარშემორტყმულია კაბილებით.

კაბილები მათ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ.

შეშუანში დიდი ბრძოლის შემდეგ ესპანეთის რაზმმა შესძლო შეშუანიდან გამოსვლა და სურსათის მიწოდება დისკრელუში.

ესპანეთის მთავრობასა და აბდულ ქერიმს შორის მოლაპარაკების დროს აღძრულ იქნა საკითხი ესპანელების მიერ მაროკოს დატოვებისა და მისი დამოკიდებულობის გამოცხადების შესახებ.

დოუესის გეგმის შედეგი.

გერმანიის მთავრობა 24 სექტემბერს შეიტანს ახალ საბაჟო ტარიფს იმპერიის ეკონომიურ საბჭოში განსახილველად. ახალი ტარიფი ითვალისწინებს ხელფასს არსებულზე სამჯერ გადიდებულს.

იტალია-ეგვიპტის ინციდენტი.

ლონდონიდან მიღებულ ცნობით მაკდონალდს განზრახული აქვს მუსოლინთან ერთად მოაგვაროს იტალია-ეგვიპტის ინციდენტი სოლუმის რაიონში.

ინგლისი შეჰპირდა სხვა სახელმწიფოებს, რომ ის არ მისცემს ნებას სხვა სახელმწიფოებს ჩაერიოს ეგვიპტის სუვერენიტეტში.

საფრანგეთის და გერმანიის ურთიერთობა.

საფრანგეთის კაბინეტი პარასკევს არჩევდა საკითხს გერმანიასთან მომავალ სავაჭრო მოლაპარაკების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარში

№ ტერ-ლეგიონის არმიელებში.

14 სექტემბერია. წითელ არმიელების ერთი ჯგუფი განცალკევებულია. ამოურჩევიათ ლეგიონის ეზოში ერთი კუნჭული და ეძლევიან მხიარულებას.

— „ტაში ბიჭო, „ტაში“—გაისმის შეძახილი და გაჰკივიან „ჩაგუნას“.

ორი წითელ არმიელები უვლიან ლეკურს. ეჯიბრებიან ერთმანეთს. შნოიანი და ჰაეროვანია ეს მეტოქეობა.

ტანის ლამაზად რხევა და ფეხების მოსხლეტილად ხმარება საუცხოვო შთაბეჭდილებას სტოვებს.

თითქმის ყველამ იცეკვა, მოიქანცენ. სიმღერაც აღარ შეუძლიათ.

— ანდრიაუ, აბა ერთი ჩონგურიც დაუკა, ჰა.

— დაელრიჯა ერთი არმიელი მეორეს, რომელსაც ჩონგური დაეკავებია ხელში და მასხრობაში იყო გართული.

— დაუკა, დაუკა თუ ღმერთ...

ღმერთი კი არა, გაბრიელ მთავარ ანგელოზი არ გინდა? გაეხმაურა გიგუა პირველს.

— ღმერთი, ჩემო ძმაო, ერევანცკზე ააფეთქეს.

ასტყდა სიცილი და ოხუნჯობა.

— ჩონგურის ხმას თუ გაგვაგონებ მაინც კარგი იქნება, ანდრია. ერთი ლამაზი ლექსი ღმერთსაც დაგვავიწყებს და მთავარ ანგელოზსაც...

— აჰა, ჰაი რომ დაგვავიწყებს მედა ჩემმა ღმერთ—თფუი ეშ... თფუ დასწყევლოს ღმერთ...რომ ვეღარ მოვცილდი ამ წყეულებს.

ანდრია, დაუკა თორემ ხომ უყურებ რა მომდის ეშმაკს და ღმერთს ვეღარ მოვცილებივარ.

ანდრიამაც მოიმარჯვა ხელში ჩონგური და დაამღერა მადლიანი ხმით:

„ყველა ფრინველი ხეზე ზის
„მწყერი მიწაზე გოგდება,
ქალი რად გინდა სხვა ქვეყნის
დასნეულდება მოკვდება“.

— ეს კი მართალია აი! ყოჩაღ ანდრია, ყოჩაღ. დიდ ხანს, დიდხანს გაისმოდა ჩონგურის საამური ხმა და ანდრიას მომხიბლავი ლექსები.

თითქმის მთელი ლეგიონის არმიელები შამოეხვიენ ამ პაწია ჯგუფს.

— ამხანაგებო, კლუბში უნდა წავიდეთ! გაისმა უფროსის ხმა.

შესწყდა ჩონგურიც და ნახევარი საათის შემდეგ გარნიზონის საზაფხულო კლუბში ჩვენი არმიელები ზოგი კინო-სურათებს გაეტაცნა, ზოგი სადღეისო საუბარს ისმენდა თეატრში და ზოგიც კიდევ ლენინის წითელ კუთხეში თავჩაქინდრული ჟურნალ-გაზეთებს ათვალიერებდენ.

სიანი.

ბანაკიდან—ყაზარმისაკენ.

სამი თვ-ს განმავლობაში ჩვენი ასეული ბანაკად იყო გასული სადგ. ლიხის ახლოს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში წითელ-არმიელებმა პრაქტიკულად შეისწავლა ყველა ის, რასაც ზამთრის განმავლობაში თეორიულად გავდიოდით.

ამავე დროს ასეული დიდ მუშაობას ეწეოდა ადგილობრივ გლეხებში და დაიმსახურა მათი სიყვარული და პატივისცემა.

გლეხობაში ვაწარმოებდით კულტურულ მუშაობას, ვეხმარებოდით პირნახულის მოწევაში. ყველა ამან დაარწმუნა გლეხობა, რომ წითელი ჯარი ნამდვილად მუშურ-გლეხური ჯარია და ის ძლიერ განსხვავდება ძველი მენშევიკური და ნიკოლოზის დროის ჯარებისაგან.

ჩვენი ნაწილი, როგორც სპეციალური ნაწილი დიდ სამსახურს უწევდა გლეხობას გზების გაყვანაში და ხიდების აგებაში.

ამიტომ დიდი მადლობელი არის ადგილობრივი გლეხობა ჩვენი ასეულის. როდესაც მოვდიოდით გამოგვეთხოვენ და მოგვძახოდენ: „თქვენი ჭირიმეთ, გაისადაც ჩვენთან მოდით, ნუ მიგვატოვებთო“.

15 სექტემბერს ვლაგდებით ვაგონებში. სადგურზე თავმოყრილია ყველა ნაციონალური მესანგრე ასეულები. სადგურის წინ იმართება ცეკვა-თამაში. უკრავს სამხედრო ორკესტრი. ადგილობრივი გლეხობა აქ არის. ახალგაზრდები მონაწილეობენ ცეკვაში. ბოლოს გაიმართა ქართულ-კახური სიმღერები.

16 სექტემბერს ღამის 10 საათზე დაიძრა ჩვენი მატარებელი.

ასტყდა ხმაური „ურა“ ვაშას და სხვა.

მშვიდობით, მშვიდობითო გაიძახიან ჩვენი წამოსვლით დაღონებული გლეხები.

17-ში უკვე თბილისში— ჩვენს ყაზარმებში ვიყავით.

ყველა მხიარულად გამოიყურება. მოელიან, როდესაც მთავრობა გაუშვებს მათ შვებულებაში და გაემართებიან სოფელში, რომ იქაც შეიტანონ განათლების შუქი.

სამხედრო: **ვ. ნუცუბიძე.**

ჩვენი ექსკურსიები.

სამი დღეა, რაც ქართულ მეთაურთა გაერთიანებული სკოლის კურსანტები დავდივართ ექსკურსიაზე და ვათვალიერებთ სხვა და სხვა მუზეუმებს.

მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენს კურსანტებზე ჩვენი მუზეუმები.

ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობისადმი პატივისცემა, ძველ ხელოვნურ ნაწარმოებთა და ისტორიულ სიძველეთა გაცნობა, მათი თვალნათლივ შესწავლა, აი რა შეგვძინა ჩვენ ამ ექსკურსიებმა.

პირველად ვინახულეთ რევოლიუციის მუზეუმი, სადაც ვნახეთ ძველი რევოლიუციონერების მრავალი მოწოდებები და „ახრანკაში“ გადაღებული ჩვენი უფროსი ამხანაგების ცხაკაიასი, მახარაძის, სტალინის და სხვათა სურათები.

შემდეგ ვინახულეთ სამხატვრო მუზეუმი. გავეცანით ჩვენს მხატვრებს და მათ სურათებს.

18 სექტემბერს კი გავემართეთ სამეურნეო მუზეუმისაკენ.

აქ ბევრი რამ ვნახეთ ისეთი, რამაც მოგვაგონა ჩვენი სოფლების ცხოვრება და გული სიამით ივსებოდა.

მისვლისთანავე მოგვეგება ამხ. იაშვილი და გაგვაცნო ყველა სამეურნეო დარგების მნიშვნელობა.

ამხ. გვესაუბრა მთელი სამი საათის განმავლობაში. თითეული წვრილმანი, რომელსაც კი ვნახულობდით აქ დიდ ინტერესს იწვევდა ამხ. კურსანტებში.

დიდი მადლობა ამხ. იაშვილს ჩვენდამი ასეთი ყურადღებისათვის.

აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველი თავისუფალი საათები ჩვენთან მოხმარდეს მეურნეობაზე საუბარს.

ლავ. ჭელიძე.

დავსტოვეთ ბანაკი.

ქართულ პირველ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულმა უკვე დასტოვა საბანაკო ცხოვრება და გადმოსახლდა თავისი ყაზარმებისაკენ.

მთელი საზაფხულო პერიოდის განმავლობაში ასეულმა ღირსეულად შეასრულა მასზე დაკისრებული საქმე. სამხედრო პრაქტიკულ მეცადინეობასთან ერთად ასეულში გაცხოველებულად სწარმოებდა კულტურულ-საგანმანათებლო და პოლიტიკური ხასიათის მუშაობა.

ამას გარდა ჩვენი ასეული დიდ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე ადგილობრივ გლეხობაში. ასეულის წამოსვლის დროს ადგილობრივმა გლეხობამ შესაფერად დააფასა ჩვენი ასეთი საქმიანობა: მთელ რიგ ორგანიზაციებმა, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებმაც, გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი და მოგვმართეს სიტყვებით, სადაც აღნიშნული იქნა საკავშიროელების მოღვაწეობა გლეხობაში.

და მართლაც ცოტა არ გვიმუშავნია სოფლის კულტურულად განვითარებისათვის.

მთელი ზაფხულის განმავლობაში მოვაწყვეთ სხვა და სხვა საჯარო მიტინგები. ყოველ კვირაობით მახლობელ სოფლებში ვაწყობდით წარმოდგენებს, ვაწოდებდით ჟურნალ-გაზეთებს, და ხშირად ვმართავდით გლეხობაში კერძო საუბრებს სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხების შესახებ.

17 სექტემბერს ადგილობრივმა ახალგაზრდობამ და გლეხებმა დიდი ამბით გამოგვაცილეს სადგურზე, დაგვემშვიდობნენ და თან გამოგვძახეს: „არ დაგვივიწყოთ, მუდამ გამარჯვებული იყავით, მშვიდობითო.“

გამოვეშურეთ ყაზარმებისკენ და თან წამოგვყვა ადგილობრივი მშრომელებისადმი სიყვარული.

ჩვენს ასეულს სამი სოფელი ყავდა აყვანილი შეფობის ქვეშ. საჭიროა ამ ჟამად, როდესაც ჩვენ იქ აღარ ვიმყოფებით, მაინც დავიწყებული არ იქნენ ისინი და შეძლების დაგვარად აქედან გაუწიოთ დახმარება. გაუმარჯოს განუწყვეტელ კავშირს ჩვენსა და მათ შორის.

სერმონია.

ამხ. გ. როგავას ხსოვნას.

ქალაქ ზუგდიდში მიწას მიაბარეს მენშევიკური გამოსვლების ბანდიტების ვერაგული ტყვიით განგმირული ამხ. როგავა.

ამხ. დაკრძალვას დაესწრო ზუგდიდის მთელი მოსახლეობა, წარმომადგენლები აფხაზეთიდან, სამურზაყანოდან და სხვა. ამხ. გ. როგავას დასაფლავებას დაესწრენ აგრეთვე ჩვენი უფროსი ამხანაგები მ. ცხაკაია და ს. გეგეჭკორი. სამოქალაქო პანაშვიდი გახსნა ერთმა ადგილობრივმა ამხანაგმა, რომელმაც აღნიშნა მენშევიკური ბანდების ვერაგული მოქმედება.

ვრცელი სიტყვებით გამოვიდენ ამხ. ამხ. მ. ცხაკაია, ს. გეგეჭკორი და ყველა წარმომადგენლები.

წითელი არმიის სახელით ამხ. როგავას ცხედარს სიტყვით მიმართა დ. ჭანკვეტაძემ, რომელმაც აღნიშნა მისი მოღვაწეობა და რევოლიუციონური თავდადება. იყო მგალობელთა გუნდიც.

მშვიდობით ამხანაგო. შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ყველა მათ გულში, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლება და მშრომელი ხალხის ინტერესები.

დ. ჭ.—ძე.

სამხედრო კოოპერაცია რჩება ამიერ-კავკასიაში,

ზაკრაიკომის 19 სექტემბრის სხდომაზე გამოტანილი იქმნა დადგენილება ამიერ-კავკასიაში სამხედრო კოოპერაციის შენახვის შესახებ. საფუძვლად ამ დადგენილებას დაედვა ის გარემოება, რომ სამხედრო კოოპერაცია ზოგიერთ ადგილებში უფრო ძლიერია სამოქალაქოზე (უმეტესად კი სასოფლეზე) და ის საკმაო დამაკმაყოფილებლად უწევდა დახმარებას წითელ-არმიელთ და სამხედრო მოსამსახურეებს.

მეთაურთა სკოლის ახალგაზრდა ლენინელთა შორის.

ჩვენი სკოლის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის მუშაობა მეტად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ყველა ასეულებში არჩეულია ბიუროები, რომლებიც სკოლის ბიურო-კოლექტივის ხელმძღვანელობით ენერგიულად აწარმოებენ მუშაობას.

ასეულებში ყოველ კვირაში ხდება კავშირის კრებები; ესწრებიან, როგორც კავშირის წევრები, ისე ყველა უპარტიო ამხანაგები. კრებები ყოველთვის ატარებენ საქმიან ხასიათს და ირჩევა საჭირბოროტო ხასიათის საკითხები.

ამა თუ იმ საკითხის გარჩევის დროს აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე უპარტიო ამხანაგებიც და სხვა და სხვა კულტურულ ხასიათის მუშაობაში დიდ აქტიურობას იჩენენ. განსაკუთრებით ძლიერ დაინტერესებული არიან ლენინის კუთხის სათანადოთ მოწყობაში.

იმედია ახალგაზრდა ამხანაგები მომავალშიაც არ დაიშურებენ თავის ენერგიას და სკოლის კურსანტების კულტურულ საგანმანათლებლო და პოლიტიკურად მომზადების საქმეში შეიტანენ თავის წვლილს.

ვ. ბერიძე.

პარტიული ცხოვრება.

ორი მოხსენება მესანგრეებში.

10 სექტემბერს შესდგა 1-ლ ქ.მ. დივ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრენ პარტიულების გარდა უპარტიო წითელ არმიელებიც. მენშევიკების, თავად-აზნაურების და მღვდლების გამოსვლების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. გოგისვანიძემ. მან კრებას ნათლად დაუხასიათა ამ ავანტიურის ისტორია, მისი მიზეზები, მენშევიკების პოლიტიკური სიკოტრე და ყველაფერი ის, რასაც ჰქონდა ადგილი ჩვენს ქვეყანაში.

მომხსენებელმა დღის სინათლეზე გამოიტანა აგრეთვე ამ გამოსვლების მომწყობთა სურვილები, თუ რა უნდოდათ მათ რომ ექნათ მუშათა და გლეხთა მასებისათვის და სხვა და სხვა..

მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია და დაადგინა: ყველა თავად-აზნაურები, მღვდლები და სხვა დამნაშავენი დასჯილ იქნენ უსასტიკესი სასჯელით, როგორც მავნე ელემენტები და მშვიდობიანობის დამრღვევნი.

ამ გამოსვლით ქართველ მშრომელ ხალხს მათ მოუტანეს დიდი და აუნაზღაურებელი ზარალი.

თავიანთი ყაჩაღური გამოსვლით ისინი უმზადებდენ ქართველ ხალხს განადგურებას, რისთვისაც ისინი ღირსნი არიან უსასტიკესი სასჯელის. ჩვენ მესანგრეების კომუჯრედი წითელ არმიელების და უფ-შემადგენლობის სეხელით ვსდებთ მხედრულ სიტყვას, რომ თუ მათ კიდევ გაბედეს თავისი ბინძური ხელებით მშრომელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევა, ჩვენ მათ ხიშტებით გაუსწორდებით.

ახალგაზრდების საერთაშორისო დღის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პ. ჭელიძემ, რომელმაც ამხანაგებს გააცნო ამ საერთო დღის მნიშვნელობა, რომელსაც დღესასწაულობს დიდის ზეიმით ყველა ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდობა სექტემბრის პირველ კვირა დღეს. მაგრამ ქართველი ახალგაზრდობა უქმობს ამ დღეს 7 სექტემბრის მაგიერად 14 სექტემბერს მენშევიკების ავანტიურის და საერთო მშვიდობიანობის დარღვევის გამო. კრებამ მოისმინა მოხსენება დიდის აღფრთოვანებით და მიიღო ამ მომენტისათვის შესაფერი რეზოლიუცია.

დამსწრეები მოხსენებებით კმაყოფილნი დარჩნენ.

გ. ჯიჩოეშვილი.

ამხ. ვალიკო ხავთასის ხსოვნას.

ოზურგეთიდან დაბრუნებულმა ამხანაგებმა აღმაშფოთებელი ამბავი გადმოგვცეს.

მენშევიკური ყაჩაღების გამსროლილმა ტყვიამ მოგვიკლა ერთი ახალგაზრდა რევოლიუციონერი, კომკავშირის წევრი და ქართულ მეთაურთა სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერების მასწავლებელი, ამხ. ვალიკო ხავთასი. როდესაც მენშევიკების ხელმძღვანელობით წამოსული ყაჩაღ-თავად-აზნაურთა და ოფიცერთა ბრბო, იარაღით ხელში, ოზურგეთის მაზრის სხვა და სხვა სოფლების მუშაობიდან, დაღლილ-დაქანცულ, მძინარე გლეხებს დაესხენ თავს, პირველი საპასუხო ტყვია ამ ბრბოს იქ, ისე როგორც სხვაგან, კომკავშირელებმა მიაგებეს, ისინი ახალგაზრდული თავდავიწყებით ეკვეთენ მტერს, მუშათა კლასის ინტერესების დასაცავათ და აი ამ ბრძოლაში დაეცა ჩვენი დაუვიწყარი და საყვარელი ამხ. ხავთასი ისე როგორც შეშვენის ნამდვილ რევოლიუციონერს და მუშათა კლასისათვის თავდადებულ მებრძოლს.

ამხ. ხავთასი იყო ერთ-ერთი აქტიური ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტთაგანი, რომელიც გასულ წელს დადგა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და მას შემდეგ ენერგიულად მუშაობდა კომკავშირის რიგებში და თავისი მუშაობით მაგალითის მაჩვენებელი იყო, როგორც ყოფილი მარქსისტების, აგრეთვე ახალგაზრდა კომკავშირის წევრებისათვის.

წასული წლის მიწურულში ამხ. ხავთასი კომკავშირის ცეკას მიერ იქმნა ჩვენ სკოლაში მასწავლებლათ გადმოგზავნილი. ეს ის დრო იყო, როდესაც სკოლა ქ. ოზურგეთიდან უკვე დაბრუნებული იყო და დგებოდა ნორმალურ კალაპოტში და ახალი ლაბორატორიული მეთოდით უდგებოდა მეცადინეობას. დიდი ენერგიული მუშაობა იყო საჭირო რომ სკოლაში მეცადინეობა თავის დანიშნულების სიმაღლეზე დაგვეყენებია.

ამხ. ხავთასი იყო ერთი იმ მასწავლებელთაგანი, რომელიც მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლათ ასრულებდა და მთელ თავის ენერგიას კურსანტების შეგნებასა და გათვითცნობიერების საქმეს ანდომებდა. ამხ. ხავთასი იყო მუშათა წრიდან გამოსული იშვიათი ახალგაზრდა, ჩუმი, მუყაითი და განსაკუთრებული ენერგიის მქონე ადამიანი.

ამხ. ხავთასი იყო გულ-ახდილი, სიმართლის მოყვარული და მისთვის თავდადებული მებრძოლი, რომელიც ცალ ხელ დაშავებული გმირულათ ეკვეთა მტერს, რომელმაც გაუგმირა მას გული.

ამხ. ვალიკო! ჩვენ წაგართვით შენ მთელი შენი ახალგაზრდული ენერგია ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტების შეგნებისა და გათვითცნობიერებისათვის და გაგიშვით ერთი თვის შვებულებაში დასასვენებლათ და დაკარგულ ენერგიის აღსადგენათ, მაგრამ შენ, მუშაობით დაქანცული და დასუსტებული, მაინც ცალი ხელით, გმირულათ ეკვეთე მტერს და გვიჩვენე მაგალითი შენ ამხანაგებს და კურსანტებს რევოლიუციისათვის თავდადების და ბრძოლისა.

ვალიკო! ჩვენ ყველანი შენ მაგალითს მივბაძავთ და დაუნდობელი ვიქნებით შენი მკვლელისა და რევოლიუციის მტრის მიმართ.

საბჭოთა ხელისუფლება ჩვენი სისხლით გვაქვს მოპოვებული და შეუპოვარ ბრძოლაში შევყვებით ყველას, ვინც კი მოისურვებს ამ ხელისუფლების დამხობას.

ამხ. ვალიკო! მუშათა კლასის კეთილდღეობას მრავალმა მებრძოლმა შესწირა თავი, შენც მათ რიგებში ხარ.

რევოლიუციონური პროლეტარიატი არასოდეს არ დაგივიწყებს შენ.

ამხ. ვალიკო! შენი ამხანაგების და ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტების ხსოვნაში შენ დარჩები ისევ შვებულებაში და მისთვის კი, რისთვისაც შენ დაღვარე უმანკო სისხლი, ჩვენ ლენინიზმის დროშის ქვეშ მედგრათ გავსწევთ აღთქმულ მხარისკენ.

ქ. გ—ძე.

მეცნიერება და ცხოვრება

რადიო ამერიკაში.

უმავთულო ტელეგრაფის გავრცელების საქმე ამერიკაში დიდ შედეგებს აღწევს. მოხალისეთა რადიო მიმღები სადგურები იქ საყოველთაო მოვლენად გადაიქცა. რამდენად მნიშვნელოვანი არის და ხელსაყრელი პირობები იქნება რადიოს ასეთი მოხმარებით აშკარად სჩანს იქედანაც, რომ ამ უკანასკნელ ხანებში იქ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ე. წ. „რადიო სხდომები“, როდესაც დამსწრენი იმყოფებიან თავის სახლებში—კაბინეთებში და აქ ისმენენ თავის მეგობრების აზრებს ამა თუ იმ საკითხების შესახებ და თავის მხრივ ისინიც ამბობენ სიტყვებს.

ამ დროს ისე, როგორც ჩვეულებრივ კრებების დროს აირჩევენ თავმჯდომარეს, მდივანს და სხვა.

რადიო აპარატების გავრცელების საქმე აღებული აქვს „ამერიკის რადიო კორპორაციას“. კორპორაციამ მიმდინარე წლის განმავლობაში გაასაღა 22 ნახ. მილიონი დოლარის აპარატები; აქედან ცხადია, თუ როგორ ყოფილა გავრცელებული რადიოს საქმე მასებში.

კორპორაციის ქარხანა, სადგური, საიდანაც ძალას იღებენ რადიო სადგურები და სხვა ქონება ფასობს 12 ნახ. მილიონ დოლარს. ამას გარდა კორპორაციას ეკუთვნის აუარება პატენტები, რომელიც უზის მას 17 ნახ. მილ. დოლარი. ე. ი. ერთ ნახევარჯერ მეტი, ვიდრე ძირითადი მისი ქონება.

ახალი ამბები.

ამხ. თ. ჟღენტის მოხსენება. დღეს, დილის 11 საათზე, ქ. ტ. წითელ არმიელთა კლუბში შესდგება ამხ. თენგიზ ჟღენტის მოხსენება **მენშევიკური ავანტიურის** შესახებ.

— **სამხ. ტრიბუნალში.** ორშაბათს, 22 სექტემბერს გაირჩევა მეთაურთა სკოლის წით. არმ. გიორგი კონტრიკაძის საქმე, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა და სახ. ქონების გაფლანგვა.

— **მექრთამე.** სამშაბათს, სამხ. ტრიბუნალში დანიშნულია გასარჩევათ ტფ. საკომენდანტოს თანამშრომლის დავით სავანელის საქმე. ბრალდება მექრთამეობა.

— **ტერლეგიონის სასადილო.** მესამე ტერიტორიალურ ლეგიონის სასადილო გადაეცა საწარმოებლათ გორის მთლიან მომხმარებელ საზოგადოებას.

— **საექიმო დახმარება სამხედრო მოსამსახურეებს.** არმიის სარდლობამ მიმართა ჯანმრთ. კომისარიატს, რომ იმ პუნქტებში, სადაც არ არსებობენ სამხ. სავათმყოფოები, კომისარიატის დაწესებულებებმა აღმოუჩინონ საექიმო დახმარება სამხედრო მოსამსახურეებს.

— **სახლების აშენება ტფილისში.** ქალ. აღმასკომში შევიდა 300 მეტი განცხადება **სახლების** ასაშენებლათ მიწის ნაჭრების გადაცემის შესახებ.

— **მოწყალების დათა სკოლა.** მოწყალების დათა სკოლაში ამჟამად მიღებულია 230 მსმენელი ქალი.

— **დარაბები საცხოვრებელ ბინებათ.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა ცარიელი დუქნები გადასცეს საცხოვრებელ ბინებათ.

— **ამნისტიით სარგებლობა.** საქ. ცენტრ. აღმას. კომიტეტმა მისწერა სასამართლოებს, რომ მათ ყოველთვის უნდა იხელმძღვანელონ გამოცემულ ამნისტიებით და არ აღძრან შუამდგომლობა მისჯილებზე ამნისტიის არ გავრცელების შესახებ.

— **საქ. ცაკის მესამე სესია** საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს ცენტ. აღმას. კომიტ. მესამე სესია ა. წლის 5 ოქტომბრისათვის.

— **პირობითი განთავისუფლება** საქ. ცენტ. აღმ. კომიტეტმა პირობით გაანთავისუფლა სასჯელის მოხდისაგან კაკლიაშვილი, ქველიძე დ ვალიკო ჩუბინიძე.

— **მცენარეთა სათბურები.** ქალაქის აღმასკომმა გადასწყვიტა შეაკეთოს კულტურულ მცენარეთა დ ყვავილების სათბურები, რისთვისაც გადასდო 1016 მანეთი.

ხმამაღლა კითხვა.

(„ხმამაღალი სამკითხველო“).

„უცნაურია“—გაიფიქრებს მკითხველი ამ სათაურის წაკითხვის უმალ —„ხმამაღლა კითხვა ხომ დაუშლის სამკითხველოში მოცადინეთ და მკითხველებს?“

ცხადია, რომ ის იმართება განსაკუთრებული მსმენელებისათვის, განსაკუთრებულ საათებში ან და—თუ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოეპოება—ცალკე ოთახში.

„ხმამაღალი სამკითხველოს“ ნიშანში აქვს ამოღებული წერა-კითხვის არ მცოდნე, ან ნახევრად მცოდნე და, საზოგადოდ, წიგნსა და კითხვისაგან განზე გამდგარი „მდაბიო“ ხალხი, რომლისთვისაც წიგნი უცხო საგანია და რომელიც ხშირად შეგნებულად ერიდება წიგნს, როგორც „ქაღალდის“ მცოდნეებისა და საერთოდ „ნასწავლების საქმეს“.

ხმამაღლა კითხვა პირველყოვლისა უქეზებს მსმენელს წერა-კითხვის შესწავლის სურვილს, თანდათან და შეუმჩნევლად აჩვევს და აყვარებს წიგნს და ბოლოს უნერგავს მას ცოდნა-განათლების შეძენის მუდმივ მოთხოვნილებას.

და თავიდათავი საქმე სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ **როგორ** იქნება „ხმამაღალი სამკითხველო“ დაყენებული.

თავდაპირველადვე ის ზედმიწევნით უნდა იყოს მოწყობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში—ამაოა მაზე დიდი იმედის დამყარება. ამერიკიდან გადმონერგილი, „ხმამაღალი სამკითხველოს“ სახელწოდებით, იგი რუსეთში ხდება განათლების ფართო მასებში გავრცელების ერთერთ ბუმბერაზ საშუალებად. ამიტომ იზიდავს ის ყოველ მხრიდან ასეთ მხურვალე ინტერესს.

და ჩვენ ვეცდებით მოკლე სიტყვით რაც შეიძლება მეტი ვსთქვათ იმ საშუალებებზე, რომელიც „ხმამაღალი სამკითხველოს“ განკარგულებაშია ჩვენს ქართულ პირობებში.

„ხმამაღალი სამკითხველოს“ საუკეთესო რუსი პრაქტიკოსები თავიანთ სამოქმედო გეგმას საფუძვლად უდებენ ლენინის აზრს პროლეტკულტის შესახებ, გამოთქმულს კომსომოლის მესამე ყრილობაზე.

„პროლეტარული კულტურა არ არის რაღაცა, საიდანაც გამოვარდნილი, გამოგონილი. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს კანონზომიერი განვითარება მთელი იმ ცოდნისა, რომელიც კაცობრიობამ დააგროვა კაპიტალისტურ საზოგადოების, მემამულეთა საზოგადოების, ჩინოვნიკურ საზოგადოების უღელ ქვეშ“, ამბობს ლენინი.

მარქსმა შეიგნო კომუნიზმის აუცილებლობა და კიდეც დაამტკიცა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გასაოცარის სიღრმით შეისწავლა ყველაფერი ის, რაც წარსულმა მეცნიერებამ შეჰქმნა.

ჩვენმა მკითხველმაც ძველი და ახალი უნდა შეადაროს ერთიერთმანეთს და ღრმად ჩაუკვირდეს, ამბობს ცნობილი განათლების მოღვაწე, მედინსკი*), სანამ ჩვენ გავაცნობდეთ ჩვენი ახალი მწერლებს—Новеров-ს, Подьячев-ს, Серафимович-ს, Сеифулина-ს, Аросев-ს და სხვებს, რომელნიც ოქტომბრის მიღწევებს, თანამედროვე ცხოვრებას, ახალ ზნე-ჩვეულებას გვიხატავენ, საჭიროა გავაცნოთ ძველი კლასიკური მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით ძველი რეჟიმის, ძველი ცხოვრების ყველა უარყოფითი მხარეებით.

მრავალგზისი დაკვირვებიდან უკვე გამორკვეულია, საზოგადოდ, რომ ინტერესი წიგნების კითხვისადმი თავდაპირველად იბადება კაზმულ სიტყვიერების და მეტადრე ბელეტრისტიკის, ე. ი. მოთხრობა—რომანების წაკითხვიდან. მაგრამ ეს ჯერ არაფერს არ გვეუბნება საქმის დაყენების თაობაზე. თავიდათავი საქმე ის არის, რომ ჯეროვანის მუყაითობით ასრულებული იყოს პრაქტიკით ნაცადი შემდეგი მოთხოვნილებანი:

1. აღებული უნდა იყოს პატარა, ფართო მასისათვის გასაგები, უსათუოდ დამთავრებული მოთხრობა, რომ მისი წაკითხვა შეიძლებოდეს ერთს საათში ან საათნახევარში; არ დაღალოს მსმენელები;
2. ეს უჩდა იყოს ცოცხალი შინაარსის მოთხრობა (სიუჟეტით, მოქმედებით მდიდარი), რომ სავსებით იპყრობდეს, იმორჩილებდეს, იტაცებდეს მსმენელის გულისყურსა და გრძნობას;
3. მოთხრობის თემა იყოს სოციალური; ჩვენი ცხოვრების რომელიმე საჭირბოროტო საკითხს ეხებოდეს;
4. წამკითხველმა აზრიანი, მკაფიო, მეტყველი კითხვა უნდა იცოდეს, რომ ინტონაციით, ხმის გამომეტყველებით შესაფერისი შთაბეჭდილება მოახდინოს მსმენელზე. ამისათვის წინასწარი გავარჯიშებაა საჭირო.
5. დიდი კრების ნაცვლად უმჯობესია პატარა, 15—20 კაცისაგან შემდგარი წრეები. ამ შემთხვევაში კითხვის შემდეგ გამართული კამათი გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნება რადგანაც მასიური მონაწილე პა ტარა წრეში თავს უფრო გაბედულად გრძნობს და სწორეთ ამას უნ და გაუწიოთ უდიდესი ანგარიში.
6. სასურველია, კრება ექსპრომ ტად იყოს გამართული (ჯარში ადვილია), მოცილებული ჰქონდ დემონსტრაციული მზადება და ს ზოგადოდ „კაზიონშჩინა“, რომ მო ნაწილენი თავს უხერხულად არ გრძნობდენ. ბიბლიოთეკარს აქ დ დი ტაქტი და სიფხიზლე ჰმართებ
7. ცოცხალი კამათის გამოწვევ საც დიდი ხერხი უნდა. თავმჯდო მარის ამორჩევა და ყოველგვარ ფორმალური მიმართვები („აბა, ა ხანაგებო, რას იტყვით ან ვინ ი ყვის“) უკუგდებულ უნდა იქმნეს. აფრთხობს მასიურ მონაწილეს, ჰბ დებს უხერხულობის გრძნობას, ი ვევს უადგილო ხუმრობას და ერთ სიტყვით კამათს თავშივე ჩააფუშ ხოლმე.

კითხვის დამთავრების უმალ ბი ლიოთეკარმა მოხერხებულ დინ ბაასით უნდა ჩააბას საუბარში გ ღვივებულ შთაბეჭდილების ქვ მყოფი მსმენელები და შემდეგ ჩა რიოს, რომ მსჯელობას წესიე მიმდინარეობა მიეცეს.

ბაქარ.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

---

*) იხ. „Красный библиотекарь“ 1924. № 2—3.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1.500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხ-სმგებელი რედაქტორი—პ. ჩუახიძე